



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამის შესახებ

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი:

22.12.2022 – 28.12.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი:

27.01.2023

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	7
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა .....	7
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	18
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	27
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა .....	29
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	34

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი მახაროზლიშვილი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზვიად როგავა, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	სამართალი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Law
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	სამართლის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0421 - სამართალი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1 291513, 26/03/2021
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ<sup>4</sup>

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით №1520613, 29/11/2022, შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტთა ჯგუფი სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესის შესრულების გეგმიური მონიტორინგის მიზნით.

გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მასზე დართული 13 დანართთან ერთად. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს, რომლის შესრულება შესაძლებელია 8 სემესტრის განმავლობაში. სამართლის საბაკალავრო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის მიზნები, პროგრამის სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლების მეთოდები, პროგრამის სტრუქტურა, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კომპონენტები, დასაქმების სფეროები და ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსების თაობაზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 ECTS კრედიტი ფორმირებულია შემდეგი კომპონენტებით: თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი - 24 ECTS კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 153 ECTS კრედიტი, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 52 ECTS კრედიტი, თავისუფალი არჩევითი კომპონენტი - 11 ECTS კრედიტი.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება სამართლის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (Bachelor of Law).

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში განხორციელდა დისტანციურად ვიდეოსაკონფერენციო საშუალების „ZOOM“ გამოყენების საფუძველზე. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სხვადასხვა ჯგუფთან. შეხვედრა შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პერსონალთან, ხოლო ვიზიტის ბოლოს დაწესებულების წარმომადგენლებს გაეცნოთ ძირითადი მიგნებები.

### • საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შემოწმდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შემდეგი სტანდარტები: 1; 2; 4,1; 4,3 და მე-5 სტანდარტი. გეგმიური მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამა ფაქტობრივად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, თუმცა, კვლავ გამოიკვეთა გარკვეული რეკომენდაციის გაცემის აუცილებლობა.

ამასთან აღვნიშნავთ, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციით, უსდ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

<sup>4</sup> პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- რეკომენდაციები

## 2.2 სტანდარტთან მიმართებაში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

- რეკომენდებულია, სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელ რეფერატში ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატი წარმოადგენდეს შეფასების აღნიშნულ მეთოდში სტუდენტის უარყოფითი შეფასების საფუძველს, ვინაიდან აკადემიურ სივრცეში, მათ შორის საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატის წახალისება დაუშვებელია.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>5</sup>
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ წერილს, რომლის თანახმად დაწესებულება აცხადებს, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პრექტში ასახულ გარემოებებს.

- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

---

<sup>5</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შემუშავებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულია, თუ რა ცოდნის მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია სტუდენტს შესძინოს ფართო თეორიული ცოდნა სამართლის ცნების, ძირითადი ნიშნების, სამართლის პრინციპების და ფუნქციების, სამართლიანობის ცნების და სახეების, სამართლიანობის თეორიების, სამართლის, როგორც ღირებულების, სამართლის, როგორც მავალზე და აღმჭურველი დებულებების სისტემის, სამართლის ნორმათა კონკურენციის, სამართალგანვრცობის, ნების გამოვლენათა და ხელშეკრულებათა განმარტების, ქართული სამართლის ისტორიის საფუძვლების, რომის სამართლის რეცეფციის, კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის უზოგადესი ცნებების და პრინციპების, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემის შესახებ.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ასახავს, თუ რა უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი. კერძოდ, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია:

- ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაზე მოტივირებული, რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების გამოყენებით შედეგზე ორიენტირებული შესაბამისი საფეხურის იურისტის მომზადება. სტუდენტისათვის სამართლის ძირითად დარგებში კანონმდებლობის და სამართლებრივ ნოვაციათა დაუფლებაზე და პრაქტიკაში მათი გამოყენების შესაძლებლობაზე მიმართული უნარების; სამართალწარმოებაში ეფექტური ადვოკატირების ელემენტების; იურიდიული ლექსიკის, სტანდარტული იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერიტი ფორმით კომუნიკაციის; დავის გადაწყვეტისას მიმდინარე საკითხების და წინააღმდეგობების გააზრების; სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილებების გაანალიზების და ადეკვატური დასკვნების მიღების უნარების გამომუშავება;
- თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების სწავლებაზე, ზოგადად, პროფესიულ ეთიკაზე, პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ღირებულებების განვითარებით, შესაბამისი საფეხურის იურისტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება საზოგადოებრივი

საჭიროებების გათვალისწინებით. სტუდენტისათვის სინთეზირებულ იურიდიულ დოქტრინაზე და იურიდიულ პრაქტიკაზე დაფუძნებული კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტებზე მუშაობის; იურიდიულ პრაქტიკაში სამართლებრივ ღირებულებებზე, პასუხისმგებლობაზე და სამართლიანობაზე დაფუძნებული ეთიკური და სოციალური საკითხების იდენტიფიცირების, გაგებისა და გადაწყვეტის უნარების გამომუშავება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური, მიღწევადია და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ასევე ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს და ასახავს, თუ რა წვლილი შეაქვს მას სამართლის სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია პროგრამის შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფის მიერ, უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურის შესაბამისად. ამასთან, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები;
- უსდ-ის მისია [<https://atsu.edu.ge/index.php/mission-geo>];
- უსდ-ის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- [<https://www.atu.edu.ge/index.php/component/edocman/47-2017-2018>]
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (2022 წელი ივნისი-ივლისი);
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
- უსდ-ის ვებგვერდი [<https://atsu.edu.ge/>].

### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.



## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია ნათლად ჩამოყალიბებული 10 სწავლის შედეგი, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, რაც ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ ცოდნას, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული აღწერს სამართლის ძირითად არსს და სოციალურ დანიშნულებას; სამართლის წყაროებს; სამართალშემოქმედებას; ნორმატიულ სამართლებრივი აქტების სახეებს; ნორმატიული აქტის მოქმედების ფარგლებს; ნორმატიული აქტის სისტემატიზაციას; სამართლებრივ ურთიერთობას; სამართლის მოქმედების და მისი რეალიზაციის ფორმებს; სამართლის ნორმათა განმარტებას; მართლზომიერ ქცევას, სამართალდარვევას და იურიდიულ პასუხისმგებლობას; კანონიერებას და მართლწესრიგს; ეროვნული სამართლის სისტემას და კანონმდებლობის სისტემას; თანამედროვეობის სამართლებრივ სისტემებს (ოჯახების); ქართული სამართლის ისტორიულ პირდაპირ და არაპირდაპირ, საეკლესიო (კანონიკური), საერო, სახელმწიფო-სამართლებრივ (კონსტიტუციურ), სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ხასიათის წყაროებს. დარგობრივი სასწავლო კურსების ძირითად თეორიებს, წესებს, პრინციპებსა და რეგულირების თავისებურებებს, მათ შორის:

- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ცნებას; ძირითად უფლებათა სუბიექტებს; კონკრეტულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს; ძირითადი უფლებების დარღვევის შემოწმებას; თანასწორობის ძირითად უფლებებს; საქართველოს კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს; სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებს; საქართველოს საარჩევნო სისტემის და საარჩევნო პროცესის თავისებურებებს; საქართველოს პარლამენტის სტატუსს, ლეგიტიმაციის ფარგლებს და უფლებამოსილებებს; საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის კონსტიტუციურ სტატუსს და უფლებამოსილებებს; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესს, შემადგენლობას და უფლებამოსილებებს; საქართველოს საერთო სასამართლოების სტრუქტურას; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს; საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართლის წყაროებს, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნისა და ურთიერთმმართველობის მექანიზმებს; ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის ინსტიტუტებს, საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებებს;
- კერძო სამართლის სისტემას; ფიზიკური პირის უფლებაუნარიანობის, ქმედუნარიანობის, დელიქტუნარიანობის ფარგლებს; იურიდიულ პირს და მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს; გარიგების ცალკეულ სახეებს; ნივთზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობებს; სანივთო-სამართლებრივ, ვალდებულებით, საოჯახო და მემკვიდრეობით, შრომის სამართლის ინსტიტუტებს; სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობების (სამართალწარმოების) სუბიექტებს, სასამართლოს უწყებრივ ქვემდებარეობას და განსჯადობას, ვადებს და მხარეებს, სამოქალაქო პროცესის თავისებურებებს; საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს;
- სისხლის სამართლის პრინციპებს, სისხლის სამართლის კანონის მოქმედების ფარგლებს; დანაშაულის ჩადენის სტადიებს; სასჯელის მიზნებს და სახეებს; ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის არსს და მნიშვნელობას; ადამიანისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის მარეგულირებელ სისხლისსამართლებრივ ნორმებს; სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს, საპროცესო ვადებს, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის; დანაშაულის კრიმინოლოგიურ ასპექტებს, დანაშაულთა გახსნის მეთოდოლოგიას; მტკიცებულებათა დასაშვებობას, მტკიცებულებათა შეკრებას, შემოწმებას, შეფასებას და წარდგენას; სისხლის სამართლის საქმეზე დაცვის ქვეშ მყოფისათვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფის მიზნით ადვოკატის მიერ რელევანტური მტკიცებულებების მოპოვების არგუმენტებს;

- საერთაშორისო საჯარო სამართლის მოქმედების სფეროს; საერთაშორისო საჯარო სამართლის, როგორც კონკრეტული საერთაშორისო სისტემის - სახელმწიფოთაშორისო სისტემის განუყოფელ ნაწილს; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობას; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითად პრინციპებს და საერთაშორისო საჯარო სამართლის სუბიექტებს; საერთაშორისო ხელშეკრულების ცნებას, სტრუქტურას და ხელშეკრულების დადების თავისებურებებს; საერთაშორისო ორგანიზაციების სტრუქტურას და უფლებამოსილებებს; საერთაშორისო დანაშაულებს; საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითად პრინციპებს, ნორმებს და ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უახლეს მოდელებს; დიპლომატიური და საკონსულო სამართლის ინსტიტუტებს; ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებების საერთაშორისო-სამართლებრივ ასპექტებს; სახელმწიფო ტერიტორიის და ტერიტორიული უზენაესობის ცნებებს; საზღვაო სამართლის თავისებურებებს; საერთაშორისო დავების მშვიდობიანი გადაწყვეტის საშუალებებს; კონფლიქტების ლოკალიზაციისა და ჰუმანიტარიზაციის ძირითად წყაროებს.

პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს იმ უნარებს, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ამოიცნობს სამართლებრივ საკითხებს ფაქტების რიგითობით, ზუსტი და სრულყოფილი გაგებით იურიდიულ, ინსტიტუციურ და ინტერპერსონალურ ჩარჩოებში; ოპტიმალურად გაიაზრებს და გამოიყენებს პროფესიულ უნარებს, პროცედურებს და კანონის უზენაესობას სამართლებრივი პრობლემების კრიტიკულად გასაანალიზებლად იმ სოციალურ კონტექსტში, რომელშიც იქმნება სამართლებრივი პრობლემა და საჭიროების შემთხვევაში შეიმუშავებს ეფექტურ სტრატეგიას და სამართლებრივ საფუძვლებს, რომლებიც ემყარება კონკრეტული იურიდიული ან სოციალური პრობლემების მოგვარებას;
- აანალიზებს სამართლის ფუნდამენტურ წყაროებს, კონცეფციებს და ნორმატიულ საფუძვლებს ლოგიკურ და თანმიმდევრულ ჩარჩოებში; ფაქტობრივი გარემოებების დადგენის და შეფასების მიზნით პრობლემის ამოცნობას, მოსაზრებების შეფასებას და გადაწყვეტილების მიღებას, თითოეული წყაროს წონას, საიმედოობას და სავალდებულო ან დამაჯერებელ ავტორიტეტს;
- ადგენს იურიდიული შინაარსის (ნორმატიული აქტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.), აგრეთვე, სხვადასხვაგვარი ანალიტიკური და დამაჯერებელი დოკუმენტების პროექტებს; წინასწარ განსაზღვრული ინსტრუქციების შესაბამისად იურიდიული პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავებს სამართლებრივი ხასიათის დასაბუთებული დოკუმენტის ცალკეულ კომპონენტს, როგორც გონივრულ საშუალებას პრაქტიკული ხასიათის ამოცანების გადასაჭრელად; შედარებითი ეფექტურობიდან და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე შეიმუშავებს და გამოიყენებს იურიდიული კვლევის ინსტრუმენტებს და პრაქტიკული ხასიათის პროექტებს;
- შეიმუშავებს დავის გადაწყვეტის სათანადო პროცესებში ეფექტურად ჩართვის სტრატეგიას და გონივრულ ტაქტიკას, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებების გამოყენების შესაძლებლობებს; მედიაციის თეორიისა და ტერმინოლოგიის, მედიაციის ფუნდამენტური პრინციპების და მედიატორის შესაძლო მიდგომების დიაპაზონს, ერთობლივი და ჯგუფური სესიების სათანადო გამოყენებას; მოლაპარაკებებში და მედიაციაში ეთიკური საკითხების და პრინციპების ადეკვატურად და უფლებამოსილების ფარგლებში გამოყენებას სხვებთან და დამოუკიდებლად;
- მსჯელობს იურიდიული ტერმინოლოგიის და თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ვერბალური (ზეპირსიტყვიერი) და წერიტი ფორმით, მათ შორის სასამართლოში და სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე საჯაროდ, არგუმენტირებულად და გასაგებად, ინფორმაციის ობიექტურად და დამაჯერებლად გადმოცემით, დამოუკიდებლად კრიტიკული დასკვნების გამოტანით; აზრის ლაკონურად და გასაგებად ჩამოყალიბებით; ინფორმაციის მიღების, შერჩევის და თვითანალიზის საფუძველზე; იურიდიული მუშაობის ორგანიზებისას და მართვისას ტექნოლოგიის სათანადო გამოყენებით;
- მოიძიებს და გამოარჩევს ეფექტურად მუშაობისათვის რთული პრობლემების გადაწყვეტის საშუალებებს, მათ შორის, ინტერდისციპლინარულ გუნდთან თანამშრომლობის გზით იურიდიულად მნიშვნელოვან ფაქტებზე და საჭიროებისამებრ ამ ფაქტების საფუძველზე

სათანადო დასკვნებს პროფესიული სამუშაო პროდუქტის შექმნით; მოქმედ კანონმდებლობას და საკანონმდებლო ცვლილებებს; საერთაშორისო კონტექსტში შესაძლო არგუმენტების და საპირისპირო არგუმენტების გასაგებად ახალ და უცნობ ფაქტობრივ სიტუაციებს პიროვნული და პროფესიული განვითარების გასაუმჯობესებლად; საჭიროების შემთხვევაში, ბიბლიოთეკარების და პროფესიონალი პერსონალის გამოყენებით ინფორმაციის საიმედოობას და სტრატეგიულ მნიშვნელობას იურიდიული პერიოდული გამოცემებით; სამეცნიერო სიახლეებს, როგორც ბეჭდურ, ისე ელექტრონულ მედიაში, როგორც კომერციულ, ისე უფასო იურიდიულ ელექტრონულ წყაროებში.

პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ასახავს იმ პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებიც სამართლის ბაკალავრს უნდა გააჩნდეს საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

- ცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლების, ეთიკური სტანდარტების მაქსიმალურად დაცვას და დემოკრატიულ ფასეულობებთან შესაბამისობას; პროფესიონალიზმს იურიდიული პროფესიის ღირებულებებთან და სტანდარტებთან; ინდივიდთა უფლებების განხორციელებას სამართლიანობის, პატივისცემის, თანაგრძნობის, კეთილგანწყობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით; განსხვავებული აზრის, ოპონენტის არგუმენტირებული პოზიციის მოსმენის პატივისცემას; იურისტის პროფესიულ ღირებულებებს და ეთიკურ პასუხისმგებლობებს; პროფესიის ვალდებულებას შემდგომი დაგვარად ხელი შეუწყოს საზოგადოების ხელმისაწვდომობას სათანადო იურიდიულ მომსახურებებზე, შესაძლებლობას ყველას ჰქონდეს თანაბარი წვდომა;
- წარმართავს შესაბამისი საფეხურის იურიდიულ პროფესიაში ეფექტურ საქმიანობას; პროფესიული პასუხისმგებლობით თანამშრომლობის განხორციელებას კოლეგებთან; საზოგადოებრივი სერვისების მიმართ ვალდებულების შესრულებას და სათანადო იურიდიულ მომსახურებაზე წვდომის ხელშეწყობას; კოლეგებთან საერთო მიზნებისათვის თანამშრომლობას; პროფესიონალი გუნდის შემადგენლობაში თანამშრომლობის ნათელ და ეფექტურ კომუნიკაციას ლოგიკისა და რიტორიკის პრინციპების დაცვით;
- ავლენს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარს და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების მნიშვნელობას; სპეციალიზირებულ ცოდნას ინტერნეტის სფეროებში და გამოცდილების მიღებასთან დაკავშირებით; სწავლისა და უნარების განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობებს; აკადემიური კარიერის განვითარების უნარებსა და ფასეულობებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას (სამართლის ბაკალავრი) და სწავლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ სამართლის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება შეესაბამება როგორც შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ასევე პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადია (რაც მათ შეფასებას გულისხმობს). პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, მათი ფორმულირებისას უსდ ხელმძღვანელობს შემდეგი ფორმულით: საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული + მოქმედების გამომხატველი ზმნა + რა ეცოდინება, რა უნარები ექნება, რა ემოციური ცვლილება მოხდება მასში. სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას გამოყენებულია ბლუმის განახლებული ტაქსონომია და შესაბამისი ზმნები, რითაც მარტივდება სწავლის შედეგების შეფასება. ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შემუშავებაში ჩართულია იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა).

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი (2022 წელი ივნისი-ივლისი);
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.
- უსდ-ის ვებგვერდი [<https://atsu.edu.ge/>].

#### რეკომენდაციები:

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ უსდ-ის მიერ შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ამასთან, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმს თან ერთვის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა და სამიზნე ნიშნულები.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასდება წარმოებს მეშვიდე და მერვე სემესტრებში. ამასთან, პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში, რომლებშიც კურიკულუმის რუკის მიხედვით ხდება პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცება (M). საგანმანათლებლო პროგრამით ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ და „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“.

სწავლის შედეგების შეფასების გეგმის თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას უსდ იყენებს იმ კონკრეტული დავალების შედეგს (დისკუსია/დებატები, იმიტირებული პროცესი, კაზუსის ამოხსნა, პრაქტიკული დავალების შესრულება, შუალედური და დასკვნითი გამოცდა, რეფერატი და სხვა), რომელიც უშუალოდ ზომავს აღნიშნული სწავლის შედეგს. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის უსდ-ის განსაზღვრული აქვს სამიზნე ნიშნულები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის გარდა, ასახავს თუ რომელი დავალებით, როდის, ვის მიერ ფასდება პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი და განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობაც.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები უსდ-ის მიერ ფასდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმით განსაზღვრული პერიოდულობით.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის თანახმად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ფასდება არაპირდაპირი მეთოდებითაც. არაპირდაპირი შეფასების

მეთოდები: სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, დასაქმების მაჩვენებელი, პროგრამის დასრულების მაჩვენებელი და ა.შ. ამრიგად, უსდ-ის მიერ შემუშავებული სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს (პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები), რომლებიც სტუდენტების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას იძლევა.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი არა მხოლოდ იცნობს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, არამედ უსდ-ის მიერ იღებს სათანადო მხარდაჭერას სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარებისთვის.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, და სამიზნე ნიშნულები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- კურიკულუმის რუკა;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის

უზრუნველყოფის პოლიტიკის - EP-QA“ შესაბამისად, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების პროცედურას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, პროგრამის მიზანს, სწავლის შედეგებს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და აქტივობებს, პროგრამის სტრუქტურას, სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემასა და კომპონენტებს, დასაქმების სფეროებს, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ადამიანურ რესურსებს, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსებს, პროგრამას თან ერთვის სასწავლო გეგმა და კურიკულუმის რუკა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, წელიწადში – 60 კრედიტს, სემესტრში – 30 კრედიტს. შესაბამისად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის (24 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების (153 კრედიტი), ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების (52 კრედიტი), თავისუფალი არჩევითი კომპონენტისაგან (11 კრედიტი).

თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი (24 კრედიტი).

თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 24 კრედიტი. თავისუფალი სავალდებულო კომპონენტის სასწავლო კურსები მიმართულია აკადემიური წერის საფუძვლების, ასევე უცხოური ენის (ინგლისური, გერმანული ფრანგული, რუსული) შესწავლაზე, უცხოურ ენაზე კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე, უცხოენოვანი წყაროების მოძიებასა და სწავლების პროცესში ფართოდ გამოყენებაზე.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (153 კრედიტი).

ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ხარჯზე სტუდენტმა უნდა დააგროვოს 153 კრედიტი. სავალდებულო სასწავლო კურსების სახით სტუდენტებს შეთავაზებული აქვთ ოთხი ოთხკრედიტიანი, თვრამეტი ხუთკრედიტიანი და რვა ექვსკრედიტიანი, სულ 30, სასწავლო კურსი.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (52 კრედიტი)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე გაიღრმავოს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები წარმოდგენილია 152 კრედიტით (38 ოთხკრედიტიანი სასწავლო კურსი), საიდანაც სტუდენტმა უნდა დააგროვოს 52 კრედიტი.

თავისუფალი არჩევითი კომპონენტი (11 კრედიტი)

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში თავისუფალი არჩევითი კომპონენტი წარმოდგენილია 11 კრედიტის სახით. სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტს, თავისუფალი არჩევითი კომპონენტის ფარგლებში თავისი ინტერესების შესაბამისად, აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი, მაგრამ არა უმეტეს 11 კრედიტისა.

მთლიანობაში სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საბაკალავრო საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, ლოგიკურად დალაგებული და შინაარსობრივად ვითარდება. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სამართლის ბაკალავრი) შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შინაარსის პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამას თან ახლავს კურიკულუმის რუკა, რომელშიც ასახულია, თუ რომელი სასწავლო კურსებითა თუ აქტივობებითა ვითარდება სტუდენტებში პროგრამის სწავლის შედეგები. კურიკულუმის რუკაში მითითებულია, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს. ამასთან, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი სამ დონეზე ვითარდება: I - გაცნობა, P - გაღრმავება, M - განმტკიცება.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია. პროგრამაში შემავალ თითოეულ სასწავლო კურსზე დაშვება ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამით წინასწარ განსაზღვრული წინაპირობებით.

უსდ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის შესახებ ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისთვის. ამისათვის გამოყენებულია უნივერსიტეტის ვებგვერდი.

ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციის გასავრცელებლად ასევე ყოველწლიურად ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო თუ საორიენტაციო შეხვედრები, როგორც აბიტურიენტებთან, ასევე ახლადჩარიცხულ სტუდენტებთან.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA“ [<https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/quality-regulations>];
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა;
- უსდ-ის ვებგვერდი [<https://atsu.edu.ge/index.php>];
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან.

### რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში მნიშვნელოვან ნაწილს სასწავლო კურსები წარმოადგენენ.

პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების მოცულობა წარმოდგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) შესაბამისად, რომლის მიხედვით 1 კრედიტი 25 საათის ტოლია. სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებული კრედიტების მოცულობა მთლიანობაში კურსის ფარგლებში დაგეგმილი თემების, შესასრულებელი თეორიული, თუ პრაქტიკული დავალებების ადეკვატურია. სასწავლო კურსის შინაარსის სპეციფიკა, კურსის ფარგლებში შესასრულებელი დავალებების მოცულობა და სირთულე გათვალისწინებულია ასევე საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათების განსაზღვრისას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებია:

- ქართული სამართლის ისტორია - (5 ECTS);
- შესავალი სამართლისმცოდნეობაში - (5 ECTS);
- შესავალი სამოქალაქო სამართალში - (5 ECTS);
- სანივთო სამართალი - (4 ECTS);
- ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი - (5 ECTS);
- სახელშეკრულებო სამართალი - (6 ECTS);
- კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები - (4 ECTS);
- საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი - (4 ECTS);
- სამოქალაქო სამართლის პროცესი 1 - (6 ECTS);
- შრომის სამართალი - (4 ECTS);
- სამოქალაქო სამართლის პროცესი 2 - (6 ECTS);
- საკორპორაციო სამართალი - (5 ECTS);
- საქართველოს კონსტიტუციური (სახელმწიფო მოწყობის) სამართალი - (6 ECTS);
- ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები - (5 ECTS);
- ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი - (5 ECTS);
- საერთაშორისო საჯარო სამართალი - (5 ECTS);
- ადმინისტრაციული სამართლის პროცესი - (5 ECTS);
- სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი - (5 ECTS);
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 1 - (6 ECTS);
- სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2 - (6 ECTS);
- სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი) - (6 ECTS);
- სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი) - (6 ECTS);
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - (5 ECTS);
- სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდика - (5 ECTS);
- იურიდიულ პროფესიათა ეთიკა - (5 ECTS);
- ბავშვის უფლებათა სამართალი - (5 ECTS);
- ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი - (5 ECTS);
- კონსტიტუციური მართლმსაჯულება - (5 ECTS);
- საადვოკატო უნარ-ჩვევები - (5 ECTS);
- სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში - (5 ECTS).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ასევე შეესაბამება ამ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისა და ინტერესების გათვალისწინებით, პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს



არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე გაიდრმავოს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნა და უნარები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებია:

- საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია - (4 ECTS);
- რომის სამართლის საფუძვლები - (4 ECTS);
- შესავალი სამართლის ფილოსოფიაში - (4 ECTS);
- მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართალი - (4 ECTS);
- დაზღვევის სამართალი - (4 ECTS);
- საერთაშორისო კერძო სამართალი - (4 ECTS);
- ხელშეკრულების შედგენის მეთოდთა კერძო სამართალში - (4 ECTS);
- სანოტარო სამართალი - (4 ECTS);
- საბანკო სამართალი - (4 ECTS);
- გადახდისუნარობის სამართალი - (4 ECTS);
- საარბიტრაჟო სამართალი - (4 ECTS);
- ინტელექტუალური საკუთრების სამართალი - (4 ECTS);
- მედიაცია - დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება - (4 ECTS);
- საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი - (4 ECTS);
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევა - (4 ECTS);
- სამოხელეო სამართალი - (4 ECTS);
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი - (4 ECTS);
- საერთაშორისო სისხლის სამართალი - (4 ECTS);
- საარჩევნო სამართალი - (4 ECTS);
- საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - (4 ECTS);
- კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სამოქალაქო სამართალში - (4 ECTS);
- კაზუსის ამოხსნის მეთოდთა სისხლის სამართალში - (4 ECTS);
- კაზუსის ამოხსნის მეთოდთა საჯარო სამართალში - (4 ECTS);
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი - (4 ECTS);
- სააღსრულებო სამართალი - (4 ECTS);
- გარემოს დაცვის სამართალი - (4 ECTS);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამართალი - (4 ECTS);
- საგადასახადო სამართალი - (4 ECTS);
- საბაჟო სამართალი - (4 ECTS);
- საპოლიციო სამართალი - (4 ECTS);
- კრიმინოლოგია - (4 ECTS);
- ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია - (4 ECTS);
- კრიმინალისტიკა - (4 ECTS);
- სასჯელადსრულების სამართალი - (4 ECTS);
- საპროკურორო სამართალი - (4 ECTS);
- იურიდიული კლინიკა 1 - (4 ECTS);
- იურიდიული კლინიკა 2 - (4 ECTS);
- იურიდიული პრაქტიკა - (4 ECTS).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სავალდებულო სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერს. მათი ერთობლიობა მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სამართლის დარგობრივი მახასიათებლით სტუდენტს მოეთხოვება ბაკალავრიატის საფეხურზე სწავლის დასრულებისას.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია, რაც გულისხმობს იმას, რომ სწავლის შედეგები შეფასებადია. სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების უზრუნველსაყოფად კურსის სილაბუსში განსაზღვრულია სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები და კრიტერიუმები, რომლებიც დეტალურადაა აღწერილი შეფასების რუბრიკაში.

სასწავლო კურსის სილაბუსები შედგენილია უნივერსიტეტში არსებული რეგულაციების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სასწავლო კურსის სახელწოდება, სილაბუსის ავტორი/ავტორები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება, სასწავლო კურსის მიზანი, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა, სავალდებულო ლიტერატურა, დამატებითი ლიტერატურა, სასწავლო კურსის შინაარსი.

სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა: ნორმატიული აქტები, სასამართლო გადაწყვეტილებები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სტატიები, ავთენტური წყაროები, სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, ელექტრონულ რესურსები და სხვ. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა ეფუძნება სამართლის სფეროს აქტუალურ მიღწევებს, სამართლის დარგობრივ მახასიათებელს, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი უსდ-ის ელექტრონული სწავლების პორტალის საშუალებით ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- კურიკულუმის რუკა.
- უსდ-ის ელექტრონული სწავლების პორტალი [<http://moodle.atso.edu.ge/login/index.php>];
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან.

### რეკომენდაციები:

### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

### შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობების განსაზღვრისას გათვალისწინებულია საბაკალავრო საფეხურისათვის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და პროგრამის სპეციფიკა.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე.

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნები, მათი კოეფიციენტები, მინიმალური ზღვარი და პრიორიტეტები, ასახულია აბიტურიენტის ცნობარში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

აბიტურიენტთა ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადები და მათ მიერ წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განსაზღვრულია „აბიტურიენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და მათ მიერ წარმოსადგენის საბუთების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს №01-04/50 ბრძანებით, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გარე და შიდა მობილობა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გარე და შიდა მობილობის საკითხები, მათ შორის მობილობის დროს წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რეგულირდება „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის განხორციელებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“-თ, რომელიც დამტკიცებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 12 თებერვლის №47 (14/15) დადგენილებით. აღნიშნული დოკუმენტი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა (სრული ზოგადი განათლების მქონე პირი) პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. დაშვების წინაპირობები და პროცედურები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. იგი განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ნებისმიერ

დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, ასევე მის შინაარსობრივ მხარეს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;
- აბიტურიენტის ცნობარი <https://atsu.edu.ge/index.php/for-applicants-geo>;
- „აბიტურიენტათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და მათ მიერ წარმოსადგენის საბუთების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის რექტორის 2017 წლის 31 აგვისტოს №01-04/50 ბრძანება. <https://atsu.edu.ge/index.php/universitetis-reqtori/orders/2017/01-04-50>
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 12 თებერვლის №47 (14/15) დადგენილებით დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის განხორციელებისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესი“; <https://atsu.edu.ge/index.php/shida-uzrunvelyofa-info/mobility>
- აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი <https://atsu.edu.ge/index.php/catalogs>

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა, სწავლის შედეგების შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების გამომუშავებას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი წარმოდგენილია თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკისა და პრაქტიკის დამოუკიდებელი კურსების თანმიმდევრული განხორციელების სახით.

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკა ჩაშენებულია თეორიულ კურსებში სტუდენტის იმიტირებულ სასამართლო პროცესში მონაწილეობის ან/და პრაქტიკული დავალების შესრულების სახით. ასეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „სამოქალაქო სამართლის პროცესი 1“, „სამოქალაქო სამართლის პროცესი 2“, „სისხლის სამართლის პროცესი (ზოგადი ნაწილი)“,

„სისხლის სამართლის პროცესი (კერძო ნაწილი)“, „ადმინისტრაციული სამართლის პროცესი“, „შრომის სამართალი“, „სახელშეკრულებო სამართალი“.

საგანმანათლებლო პროგრამაში პრაქტიკული კომპონენტი ასევე წარმოდგენილია სამი დამოუკიდებელი სავალდებულო სასწავლო კურსის სახით („სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ და „სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო აქტების შედგენის მეთოდისა“). პრაქტიკული კურსები სტუდენტებს შეეთავაზებათ პროგრამის დასკვნით ეტაპზე - მე-6-მე-8 სემესტრებში. აღნიშნული კურსების მიზანია თეორიულ კურსებში მიღებული ცოდნის, უნარების, გამოცდილების შეჯამება და მათი პრაქტიკულად განხორციელება. პრაქტიკის შემაჯამებელი კურსები საშუალებას აძლევს სტუდენტს დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, ანალიზი, თვითშეფასება და რეფლექსია კერძო, საჯარო, სისხლის სამართლის მიმართულებით.

სამართლის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს სასწავლო კურსების, „საადვოკატო უნარ-ჩვევები“ და „სასამართლო უნარ-ჩვევები სისხლის სამართალში“, ფარგლებში შესაძლებლობა აქვთ დაეუფლონ სასამართლო და საადვოკატო უნარ-ჩვევებს. აღნიშნული სასწავლო კურსების ფარგლებში სტუდენტები მონაწილეობენ იმიტირებულ სასამართლო პროცესებში. აღნიშნული ეხმარება საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს გამოიმუშაონ სასამართლოში საქმის წარმოების, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის ის უნარ-ჩვევები, რაც უნივერსიტეტის დასრულების შემდგომ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგებათ.

სტუდენტის პრაქტიკული უნარების შესაფასებლად ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებით უსდ-ის მიერ შეფასების ადეკვატური მეთოდები და კრიტერიუმები გამოიყენება.

საგანმანათლებლო პროგრამა საშუალებას აძლევს მე-7-მე-8 სემესტრის სტუდენტებს ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსების ფარგლებშიც აირჩიონ პრაქტიკული უნარების განვითარებაზე მიმართული სასწავლო კურსები. ასეთ სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „იურიდიული კლინიკა 1“ (4 ECTS), „იურიდიული კლინიკა 2“ (4 ECTS) და „იურიდიული პრაქტიკა“ (4 ECTS).

სასწავლო კურსი „იურიდიული კლინიკა 1“ მიზნად ისახავს:

- იურიდიული პროფესიებისათვის, აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას;
- იურიდიული კონსულტაციის გაწევას;
- სამართლებრივი დოკუმენტების შედგენას;
- სასამართლო დარბაზში მხარეთა ინტერესების წარმოდგენა/დაცვას.

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს სამართლის სპეციალობის სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას და პროფესიონალი, კვალიფიციური კადრების აღზრდაში ხელშეწყობას, თეორიაზე დაფუძნებული ტრადიციული იურიდიული სწავლებისაგან განსხვავებული მიდგომის დანერგვას, რითაც სტუდენტს უვითარდება სამართლებრივი ანალიზისა და ლოგიკური აზროვნების, კომუნიკაციის, მოლაპარაკების წარმართვის, საკითხის გადაწყვეტის ალტერნატიული ხერხების, მეთოდების გამოყენებისა და პროფესიული ეთიკის უნარ-ჩვევები.

კლინიკაში სტუდენტის საქმიანობა დამყარებულია იურიდიულ საქმიანობაზე დაკვირვებისა და მასში უშუალო მონაწილეობის, ხელმძღვანელი პრაქტიკოსი იურისტებისაგან მითითებებისა და რჩევების მიღების, პრობლემატურ საკითხებთან დაკავშირებით დისკუსიებისა და დებატების, ასევე პრეზენტაციების მომზადებისა და წარმოდგენის, სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მეთოდისაზე. კლინიკა უფასო იურიდიული კონსულტაციების წარმოების მეშვეობით, ასწავლის პრაქტიკაში კლიენტის ინტერვიუებას, კონსულტაციის გაცემასა და მის წარმომადგენლობას სხვადასხვა ორგანოში.

სასწავლო კურსის „იურიდიული კლინიკა 2“ მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ორგანიზაციულ-ადმინისტრაციული მართვის სისტემების დამუშავების თეორიული საფუძვლები და ინსტრუმენტული საშუალებები; ელექტრონული მართლმსაჯულების საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითზე გააცნოს და შეასწავლოს როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სასამართლო დაწესებულებათა (ინსტანცია, აპელაცია, კასაცია) სამოქალაქო სამართალწარმოების პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემის შექმნისა და ექსპლუატაციის ტექნოლოგიები.

სასწავლო კურსის „იურიდიული პრაქტიკა“ ფარგლებში სტუდენტი იურიდიული პრაქტიკას გადის სამართლებრივი პროფილის ორგანიზაციაში მინიმუმ 100 საათის განმავლობაში. იურიდიული პრაქტიკა მიზად ისახავს გამოუმუშავოს სტუდენტს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების, ასევე რეალურ სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის უნარი.

ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების სილაბუსებით გამოიყენება სტუდენტთა შეფასების ადეკვატური მეთოდები და კრიტერიუმები.

ამრიგად, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის მოდელის შემთხვევაში სტუდენტი, სასწავლო კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში, ჩართულია პრაქტიკულ აქტივობებში პროგრამაზე სწავლის პირველივე ეტაპიდან, ხოლო პროფესიული უნარების განვითარებაზე მიმართული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები საშუალებას აძლევს მას დამამთავრებელ ეტაპზე მოახდინოს პროგრამაზე სწავლის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის, უნარების შეჯამება, ანალიზი, თვითშეფასება და რეფლექსია კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განვითარების მიზნით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს მთელი რიგი სავალდებულო სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებულია სტუდენტის მიერ ინდივიდუალური წერითი საშინაო დავალების - რეფერატის შესრულება და მისი საჯარო პრეზენტაცია. ასეთ სავალდებულო სასწავლო კურსებს განეკუთვნება: „საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“, „საკორპორაციო სამართალი“, „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“, „საერთაშორისო საჯარო სამართალი“, „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი 2“, „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“, „იურიდიულ პროფესიათა ეთიკა“, „ბავშვის უფლებათა სამართალი“, „ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალური) სამართალი“, „კონსტიტუციური მართლმსაჯულება“.

რეფერატი წარმოადგენს წერითი ხასიათის კვლევით პროექტს და მიზნად ისახავს სტუდენტის კვლევის ინტერესის სფეროსა და კვლევის უნარის გამოვლენას. სასწავლო კურსის სილაბუსებით დადგენილია რეფერატის მოცულობა, სტრუქტურა, ფორმატი, სხვა ტექნიკური მონაცემები, ასევე სქოლიოს გაფორმების წესი.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსების სილაბუსებში დეტალურადაა ასახული რეფერატის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები, ასევე აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესრულებული ყველა რეფერატი ექვემდებარება შემოწმებას მსგავსების აღმოჩენი ელექტრონული პროგრამის „Turnitin Tutors“-ის მეშვეობით. პლაგიატის 25%-ზე მეტის აღმოჩენის შემთხვევაში სტუდენტი რეფერატის პრეზენტაციაზე არ დაიშვება და მიეცემა გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად, რათა მოახერხოს განმეორებით გასვლა რეფერატის პრეზენტაციაზე. ამასთან, ნაშრომები, რომელზედაც არსებობს დასაბუთებული ეჭვი, რომ იგი სტუდენტის მიერ არ არის შესრულებული, დადებით შეფასებას არ დაიმსახურებს.

აღსანიშნავია, რომ აკადემიურ სივრცეში, მათ შორის საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატის წახალისება დაუშვებელია. ამდენად, რეკომენდებულია, სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელ რეფერატში ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატი, შეფასების აღნიშნულ მეთოდში სტუდენტს უარყოფითი შეფასების საფუძველს წარმოადგენდეს.

სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების შესაფასებლად გამოიყენება სილაბუსით გათვალისწინებული ადეკვატური შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

### **რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, სასწავლო-კვლევითი და კომუნიკაციური უნარების განმავითარებელ რეფერატში ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატი წარმოადგენდეს შეფასების აღნიშნულ

მეთოდში სტუდენტის უარყოფითი შეფასების საფუძველს, ვინაიდან აკადემიურ სივრცეში, მათ შორის საბაკალავრო სწავლების საფეხურზე, ნებისმიერი პროცენტით გამოვლენილი პლაგიატის წახალისება დაუშვებელია.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს სასწავლო კურსის მიზნის მისაღწევ გზებს (მეთოდებს), რომლებიც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება და ამ უკანასკნელის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამოუმუშავებაზეც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეესაბამება საბაკალავრო საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და სავარაუდო შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს.

შესაბამისად, სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები ხელს უწყობს არა მხოლოდ კონკრეტული მასალის ათვისებას, არამედ ზოგადი/დარგობრივი უნარების განვითარებასაც.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ლექცია;
- პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი);
- ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს მრავალფეროვან და თანამედროვე აქტივობებს. სამართლის საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში სტუდენტის ცოდნისა და გაცნობიერების უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორცაა: ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, წიგნზე მუშაობა, წერიტი მუშაობა, ვერბალური ახსნა-განმარტება, დემონსტრირება, შემთხვევის ანალიზი (Case study), დამოუკიდებელი სწავლა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), გონებრივი იერიში (Brain storming).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში სტუდენტის უნარების გამომუშავების მიზნით ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორცაა: ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება (IBD), როლური და სიტუაციური თამაშები, შემთხვევის ანალიზი (Case study), გონებრივი იერიში (Brain storming), ევრისტიკული მეთოდი, გუნდური (collaborative) მუშაობა, დისკუსია/დებატები, ანალიზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია (ზეპირი, Power Point და სხვა).

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა სწავლება-სწავლის პროცესში სტუდენტის პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავების მიზნით ითვალისწინებს ისეთი აქტივობების გამოყენებას, როგორცაა: დამოუკიდებელი სწავლა (ესეს, რეფერატის, პროექტის, მოხსენების მომზადება), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), დისკუსია/დებატები, რომელთა დროსაც სტუდენტი შეძლებს წარმოაჩინოს ეთიკური ნორმების გაგებისა და არგუმენტაციის უნარები.

სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში, როგორც წესი, გამოიყენება მეთოდების კომბინაცია. სასწავლო პროცესში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები მთლიანობაში მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი ითვალისწინებს კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომლებიც უსდ-ის მიერ ატვირთულია ელექტრონული სწავლების პორტალში და შეზღუდვების გარეშე ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები უზრუნველყოფენ სასწავლო კურსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო ყველა სასწავლო კურსით გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა - საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სტუდენტთან ინდივიდუალური მიდგომები და აკადემიური მოსწრების შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურული საკითხები მოწესრიგებულია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“-თ, რომელიც დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის N30 (17/18) დადგენილებით.

საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს ყოველკვირეულ დამატებით კონსულტაციებსაც სასწავლო კურსის განმახორციელებელთან. საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია მითითებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, რომელიც საჯარო და ხელმისაწვდომია სტუდენტისათვის.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები;
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 დეკემბრის N30 (17/18) დადგენილებით დამტკიცებული „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“ [<https://www.atsu.edu.ge/index.php/component/edocman/30-17-18>];
- უსდ-ის ელექტრონული სწავლების პორტალი <http://moodle.atsu.edu.ge/login/index.php>;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;



რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მოთხოვნებს.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. ამასთან, სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

საბოლოო შეფასებიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შეფასების შემდეგ ფორმებს:

- სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში (მოიცავს შეფასების სხვადასხვა კომპონენტებს) - არაუმეტეს - 30 ქულა;
- შუალედური გამოცდა - არანაკლებ - 30 ქულა.

საბოლოო შეფასებიდან დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს 40 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომლის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს არანაკლებ 24 ქულას.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების მინიმალური ზღვარი განსაზღვრულია 17 ქულით.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები გასაზღვრულია სასწავლო კურსების სილაბუსებით.

სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და მთლიანობაში უზრუნველყოფს თითოეული სასწავლო კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.

სასწავლო კურსის სილაბუსებით, სტუდენტის ცოდნის შეფასებისას, გამოიყენება შეფასების კონკრეტული, გაზომვადი, გამჭვირვალე კრიტერიუმები და რუბრიკები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის წინასწარ ინფორმირებულობას შეფასების კომპონენტების, მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ.

შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების კომპონენტებისა და მეთოდების შესახებ გამოქვეყნებულია, წინასწარ ცნობილი და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

ინტერვიუების შედეგებით დადგინდა, რომ სტუდენტები იღებენ დროულ და დეტალურ ინფორმაციას მიღებული შეფასებებისა და დაშვებული შეცდომების შესახებ. სასწავლო კურსის წამყვანი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ წარმოებს დაშვებული შეცდომების განხილვა-ანალიზი, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს გაიაზროს დაშვებული შეცდომები, შეძლოს ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შედეგების გაუმჯობესება.

უსდ-ის შემუშავებული აქვს საგამოცდო პროცესის წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი, რომელიც დამტკიცებულია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 2017 წლის № (17/18) დადგენილებით.

აღნიშნული წესის თანახმად, სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სემესტრულ დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას, უფლება აქვს, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში დასაბუთებული აპელაციით მიმართოს რექტორის მოადგილეს, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა (მესამე და მეოთხე სასწავლო წლის სტუდენტები განცხადებას წერენ სტუდენტური მომსახურების სერვის ცენტრში, ხოლო პირველი და მეორე სასწავლო წლის სტუდენტები ელექტრონულ დეკანატში).

სტუდენტის აპელაციას 2 სამუშაო დღის ვადაში განიხილავს კომისია, რომელსაც ადგენს ფაკულტეტის დეკანი დეპარტამენტის ხელმძღვანელის წარდგინებით და წარუდგენს რექტორის მოადგილეს.

აპელაციის კომისია იღებს გადაწყვეტილებას, ადგენს ოქმს და აპელაციის დაკმაყოფილების შემთხვევაში მას წარუდგენს რექტორის მოადგილეს, რომელიც ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებას და გადაეცემა ელექტრონულ დეკანატს ელექტრონული მართვის სისტემაში ნიშნის ასახვის თაობაზე.

სააპელაციო კომისია უფლებამოსილია სტუდენტის შეფასება შეცვალოს (მაგრამ არა საუარესოდ) ან დატოვოს ძალაში. აღნიშნული გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის წევრები და წარუდგენენ რექტორის მოადგილეს, როგორც სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს.

ინტერვიუების შედეგებით დადგინდა, რომ სასწავლო კურსის შინაარსის, სწავლებისა და შეფასების მეთოდების სრულყოფის მიზნით, სასწავლო კურსის განმახორციელებელი აკადემიური/მოწვეული პერსონალი, შესაბამისი კითხვარის მეშვეობით, სემესტრის ბოლოს ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა;
- საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები;
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 2017 წლის № (17/18) დადგენილებით. დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა შეფასების სისტემა“ [<http://www.atsu.edu.ge/index.php/about-us-study-process/dadgenilebebi-saswavlo-procesis-shesaxeb>];
- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი აკადემიური საბჭოს 2017 წლის № (17/18) დადგენილებით. დამტკიცებული „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან (ქართულ და ინგლისურ ენოვანი), მაგისტრატურის და დამატებით (minor) საგანმანათლებლო პროგრამებზე საგამოცდო პროცესის, ორგანიზებულად ცენტრალიზებულად წარმართვის და გამოცდების აპელაციის წესი“. [<https://www.atsu.edu.ge/index.php/about-us-study-process/instructions-rules-info>];
- უსდ-ის ვებგვერდი <https://atsu.edu.ge>;
- ინტერვიუების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

**3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა**

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

## შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები პროგრამაში ჩართულნი არიან კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან და იმ ფუნქციებთან, რომელიც დაკისრებული აქვთ პროგრამის ადმინისტრირების პროცესში.

სამართლის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს ინფორმაციას მის განმახორციელებელ პერსონალთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამას ემსახურება სხვადასხვა მიმართულების, როგორც აკადემიური პერსონალი, ისე დოქტორანტები და მოწვეული პრაქტიკოსი სპეციალისტები, მათ შორის: პროფესორი - 3; ასოცირებული პროფესორი - 17; ასისტენტ პროფესორი - 1; ხელშეკრულებით მოწვეული დოქტორი - 5; დოქტორანტი - 5; მასწავლებელი - 4; მოწვეული ლექტორი/სპეციალისტი - 21.

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, ხოლო მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა 21/26-ზეა, რაც პროგრამის ადმინისტრირების მიზნებისათვის აბსოლუტურად დამაკმაყოფიებელ მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს, რაც ნიშნავს იმას, რომ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის საფეხურის შესაბამისად პროგრამის შემუშავებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენცია დასტურდება სფეროს შესაბამისი განათლებით, პრაქტიკული გამოცდილებითა და სამეცნიერო ნაშრომებით. პროგრამის ხელმძღვანელი მონაწილეობს პროგრამის შეფასება-განვითარებაში, ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსტრუქციის პროცესსა და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობაში.

პროგრამის სტუდენტების უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი <sup>6</sup>	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>7</sup>	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	21	35	26	14
- პროფესორი	3	2	3	2
- ასოცირებული პროფესორი	17	9	9	10
- ასისტენტ-პროფესორი	1	-	-	0
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	26	5	5	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-	-

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

<sup>6</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>7</sup> ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პერსონალის CV;
- დიპლომები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობები და თანაფარდობა;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია**

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომების ხელმძღვანელები	მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	-	-	-
- პროფესორი	-	-	-
- ასოცირებული პროფესორი	-	-	-
- ასისტენტ-პროფესორი	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	-	-	-

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და კმაყოფილების კვლევას უსდ რეგულარულად წარმოებს. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია მათი სხვადასხვა პროექტში ჩართულობა, აკადემიურ მობილობაში ჩართულობა, საკონფერენციო აქტივობაში ჩართულობა, ტრენინგების განხორციელება, მივლილებების დაფინანსება და შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების დაფინანსება. უსდ-ს მხრიდან აღნიშნული ქმედები მიმართულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობისკენ, რაც პრაქტიკულად სრულდება მატერიალური და ფინანსური მხარდაჭერით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის განმხორციელებელი პერსონალი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვა 2021;
- 2021-2022 წლებში ჩატარებული კონფერენციები და ტრენინგები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>



#### 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში 4.5 სტანდარტთან მიმართებაში რეკომენდაცია არ გაცემულა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
------------	------------------------------	--------------------------	----------------------------	------------------------

	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

#### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

#### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში. შიდა ხარისხის შეფასების პროცესში შესრულებულია სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დაინტერესებულ პირთა, მათ შორის, დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვა, რომლის შედეგად მიღებული შედეგები ექვემდებარება გაანალიზებას.

უსდ-ის მიერ სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების პროცესში უზრუნველყოფილ იქნა დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, ხოლო პროგრამაში ჩართულმა პერსონალმა, მიზნობრიობიდან გამომდინარე, გაითვალისწინე შიდა ხარისხის შეფასების შედეგები.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გარდა სტუდენტების, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვისა, ყოველსემესტრულად ადგენს იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც სტუდენტის მიერ ამა თუ იმ სასწავლო კურსში მიღებულ შეფასებათა გრადაციას უკავშირდება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- შიდა ხარისხის მიერ განხორციელებული შეფასებები;
- სტუდენტების გამოკითხვა;
- აკადემიური პერსონალის გამოკითხვა;
- სასწავლო კურსების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები;

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და უზრუნველყოფს შედეგების გამოყენებას პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ამ კუთხით, სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ აკრედიტაციის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები, ფაქტობრივად, სრულად იქნა გაანალიზებული და გათვალისწინებული, რამაც პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან სრულად შესაბამისობა უზრუნველყო.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №1 291513, 26/03/2021;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 ხარისხის შეფასება	გარე <input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულთა ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. მიღებული შეფასების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში გაანალიზების შემდგომ მიღებული შედეგები, საჭიროებისამებრ, გამოიყენება პროგრამაში ცვლილებების შეტანის მიზნით.

პროგრამის ადმინისტრირების მონიტორინგის მიზნით, ყოველსემესტრულად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ანალიზდება სტუდენტის მიერ სასწავლო კურსებში მიღებული შეფასებები.

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ პერიოდულად ხდება პროგრამის სხვა უცხოურ და ადგილობრივ პროგრამებთან დადარება. უსდ-ში პროგრამების დადარების შედეგები გაანალიზებულია. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, „სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ქართულ და უცხოენოვან ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზის მიზანია შეისწავლოს აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის შედარებითი მახასიათებლები საქართველოში მოქმედ ანალოგიურ და უცხოურ უნივერსიტეტების პროგრამებთან მიმართებაში, რომ განხორციელდეს საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და მათი გათალისწინებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის დახვეწა და შემდგომი აკადემიური განვითარება. წარმოდგენილი ინფორმაცია მთლიანად ეყრდნობა შესაბამის უსდ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ საჯარო ინფორმაციას.“ როგორც პროგრამის უცხოურ პროგრამებთან დადარების ანალიზიდან იკვეთება, დადარების შედეგად სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში გარკვეული სახის ცვლილებებს დაედო საფუძვლად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;

- სასწავლო კურსების შეფასების შედეგები;
- სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ანალოგიურ პროგრამებთან დადარების ანალიზი;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input checked="" type="checkbox"/>
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

სსიპ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა


**პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა**

შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტანდარტები				
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

ავრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის  
გიორგი მახაროზლიშვილი



ავრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების  
ზვიად როგავა

